ო ყმაწვილო, მე შენ გასწავლი სიტყვებს: გახსოვდეს ალლაჰი და ის დაგიცავს შენ. გახსოვდეს ის და იპოვი მას შენს წინ, როცა შესთხოვ, შესთხოვე ალლაჰს და როცა გჭირდება დახმარება, სთხოვე დახმარება მხოლოდ ალლაჰს

გადმოცემულია აბუ ალ-აბბას აბდულლაჰ იბნ აბბასისაგან (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი), რომ მან თქვა: ერთ დღეს მე შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უკან ვიყავი და მან თქვა: «ო ყმაწვილო, მე შენ გასწავლი სიტყვებს: გახსოვდეს ალლაჰი და ის დაგიცავს შენ. გახსოვდეს ის და იპოვი მას შენს წინ, როცა შესთხოვ, შესთხოვე ალლაჰს და როცა გჭირდება დახმარება, სთხოვე დახმარება მხოლოდ ალლაჰს, და იცოდე ყველა ხალხი რომ შეიკრიბოს რათა სარგებლობა მოგიტანონ, ვერ მოგიტანენ სარგებლობას იმაზე მეტს, რაც უკვე დაწერა ალლაჰმა შენთვის, და ყველა ხალხი რომ შეიკრიბოს შენს წინააღმდეგ, ვერ გავნებენ იმაზე მეტს, რაც უკვე დაწერა ალლაჰმა შენთვის, კალამი აწეულია და ფურცლები გამშრალი». ათ-თირმიზის გარდა სხვა გადმოცემაში: «გაიხსენე ალლაჰი და მას შენ წინაშე იპოვი. გაიხსენე ალლაჰი კეთილდღეობაში და ის შენ გაგიხსენებს გაჭირვებაში. იცოდე, რომ ის, რაც შენ გამოგრჩა, ვერასოდეს მოგწვდებოდა, და ის, რაც შენ დაგატყდა, ვერასოდეს აგივლიდა გვერდს. აგრეთვე იცოდე, რომ დახმარება მოთმინებასთან ერთად მოდის, განსაცდელს თან ახლავს განტვირთვა და სიძნელესთან ერთად არის სიმარტივე».

[სანდო (საჰიჰ)] [رواه الترمذي وغيره]

იბნ აბბასი (ალლაჰი იყოს კმაყოფილი მისით) გადმოგვცემს, რომ ერთხელ, როცა ის პატარა იყო და მოციქულთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ერთად მიემგზავრებოდა (მის უკან იჯდა) და, მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უთხრა: ჭეშმარიტად, მე გასწავლი საქმეებსა და ისეთ რამეს, რომელთა საშუალებითაც ალლაჰი მოგცემს სარგებელს: გახსოვდეს ალლაჰი, მის ბრძანებებზე მორჩილებით და მისი აკრძალვების თავიდან აცილებით, რათა ის ყოველთვის გხედავდეს მორჩილებისა და მასთან დაახლოვების გზაზე, და არა ცოდვებისა და დაუმორჩილებლობის გზაზე. თუ ასე მოიქცევი, ალლაჰი დაგიცავს უბედურებებისგან ამ ცხოვრებაში და მომდევნო ცხოვრებაში, და მოგანიჭებს მხარდაჭერასა და გამარჯვებას ყველა შენს მნიშვნელოვან საქმეში, საითკენაც არ უნდა წახვიდე. თუ რაიმეს თხოვნა მოგინდება, არავის სთხოვო გარდა ალლაჰისა, რადგან მხოლოდ ის ერთია, ვისაც შეუძლია უპასუხოს მთხოვნელს. თუ დახმარება მოგინდება არ სთხოვო დახმარება არავის, გარდა ალლაჰისა. გქონდეს მტკიცე რწმენა და დარწმუნებულობა იმაში, რომ ვერანაირ სარგებელს ვერ მიიღებ, თუნდაც დედამიწაზე ყველა ადამიანი გაერთიანდეს იმისთვის, რომ დახმარება გაგიწიოს, გარდა იმისა, რაც ალლაჰმა შენთვის დაწერა. და ვერავინ ვერაფერს გავნებს, თუნდაც ყველა ადამიანი გაერთიანდეს და შენს

წინააღმდეგ ბოროტება მოინდომოს, გარდა იმისა, რაც ალლაჰმა შენთვის წინასწარ განსაზღვრა. და იცოდე, რომ ეს საქმე დაწერა და განსაზღვრა ყოვლისშემძლე და დიდებულმა ალლაჰმა, და მან ის თავისი სიბრძნისა და ცოდნის მიხედვით დააწესა. შეუძლებელია შეცვალო ის, რაც მან დაწერა. და ვინც იცავს ალლაჰის ბრძანებებს და თავს იკავებს მისი აკრძალვებისაგან, ჭეშმარიტად, წმინდა ალლაჰი მისი მონის წინ იქნება, იცის მისი მდგომარეობა, ეხმარება და ამაგრებს მას. ხოლო როდესაც ადამიანი ემორჩილება ალლაჰს კეთილდღეობის დროს, ალლაჰი უბოძებს მას გასაჭირის ჟამს განთავისუფლებას და გამოსავალს. დაე, ყოველი მორჩილი კმაყოფილი იყოს იმით, რასაც ალლაჰი განუსაზღვრავს მას, სიკეთე იქნება ეს თუ ბოროტება. განსაცდელებისა და სირთულეების დროს მონამ უნდა გამოიჩინოს მოთმინება, რადგან მოთმინება არის გასაღები განთავისუფლებისთვის. როცა მწუხარება ძლიერდება, განთავისუფლება ალლაჰისგან მოდის, და როცა სიძნელე დადგება, ალლაჰი მის შემდეგ შემსუბუქებას ანიჭებს.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/66522